პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 175 (5205)

4 სექტემბერი ოთხშაბათი. 1974წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**წაიკითხეთ:**

„ბორჯომელმა მოჭიდავეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს“.

„ტურნირი ... ... თუმის „დინამო“ (მწვრთნელი ლ. ვერულიძე) შესანიშნავი გამარჯვებით, რომელმაც I ადგილი დაიკავა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა“.

მე-3 გვ.

„მწვრთნელის წინასწარმეტყველება გამართლდა: 6 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით ბრუნდებიან საბჭოთა ათლეტები სამშობლოში“.

მე-4 გვ.



# სსრ კავშირის ნაკრები — ევროპის ჩემპიონი

კალიარი, 2 სექტემბერი. ქალთა კალათბურთში ყველა უმაღლეს ტიტულს სსრ კავშირის ნაკრები ფლობს! მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი დღეს მეთორმეტედ გახდა ევროპის ჩემპიონი. საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი მატჩი მოიგეს ფინალში (ბულგარეთთან — 95:69) და ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მოიხვეჭეს უმაღლესი წოდება.

### 1958 წლიდან — დაუმარცხებლად

საბჭოთა კალათბურთელი ქალების მაჩვენებლები ოფიციალურ ტურნირებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მართლაც უნიკალურია ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ 1958 წლიდან მოყოლებული მათ არც ერთი ოფიციალური მატჩი არ წაუგიათ. მსოფლიოს კალათბურთის ლიდერს ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ 1976 წელს მოიგოს მონრეალის ოლიმპიადა (როგორც ცნობილია, ქალთა კალათბურთი თავის ოლიმპიურ ისტორიას სწორედ მონრეალიდან დაიწყებს).

კალიარი, 3 სექტემბერი. საბჭოთა კალათბურთელებმა ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაც დამაჯერებლად მოიგეს იტალიის ნაკრებთან — 81:32 (34:18). გამოსათხოვარ მატჩში ყველაზე მეტი ქულა (12) თავის კოლექტივს ლენინგრადელმა ა. ოვჩინიკოვამ შესძინა.

უნგრელებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს ბულგარელებს — 56:53 (29:32).

ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა. სამი დარჩენილი მატჩი საბოლოო სიცხადეს შეიტანს გათამაშების ცხრილში. ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლის საუკეთესო შანსს ჩეხოსლოვაკიის გუნდი ინარჩუნებს, რომელსაც 4 მოგება აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან უნგრეთის (3 ქულა), ბულგარეთისა და იტალიის (2-2 ქულა) კალათბურთელები.

* * *

სურათზე: ევროპის ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები. პირველ რიგში (მარცხნიდან) ლ. კუზნეცოვა (მოსკოვი), ა. ოვჩინიკოვა (ლენინგრადი), ნ. შუვაევა (ალმა-ათა), ნ. ზახაროვა (ლენინგრადი), ო. ბარიშევა (სვერდლოვსკი), ტ. ოვეჩკინა (მოსკოვი); მეორე რიგში — ნ. კლიმოვა (კიევი), ნ. ფერაბნიკოვა (მოსკოვის ოლქი), რ. კურვიაკოვა (დნეპროპეტროვსკი), უ. სემიონოვა (რიგა), ო. სუხარნოვა (მოსკოვის ოლქი), თ. კალიაგინა (ლენინგრადი).

ვ. უნ და-სინის ფოტო. (საკდეს-ი).

## ისევ კოდეშთან

ფორესტ-ჰილსი, 3 სექტემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების აქ მიმდინარე ღია ჩემპიონატში თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა მესამე წრეში ინგლისელ მ. კოქსს სძლია. ბრძოლა უაღრესად მძაფრი და საინტერესო იყო. შეხვედრის ანგარიშია 6:7, 6:4, 6:7, 7:6, 6:3. უნდა ითქვას, რომ მეტრეველმა მეოთხე პარტიაში ორი მატჩ-ბოლი თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა.

ახლა თბილისელი ჩოგბურთელი უნდა შეხვდეს ი. კოდეშს (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც არანაკლებ მწვავე თამაშში აჯობა ევროპის ჩემპიონ ბ. ტაროცის (უნგრეთი) — 5:7, 4:6, 7:6, 7:8, 6:3. შარშან უიმბლდონის ტურნირის ფინალში კოდეშმა დაამარცხა მეტრეველი, წლეულს კი დევისის თასის მატჩში თბილისელმა ჩოგბურთელმა სძლია კოდეშს.

## ყველა დაპირება დაპირებად დარჩა

ჩვენ ხულოს რაიონის სოფელ ტაბახმელიდან გწერთ. ჩვენმა ახალგაზრდობამ სოფლის განაპირას უპატრონოდ მიტოვებულ მინდორზე ფეხბურთის მოედანი მოაწყო. გავიდა ხანი და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ თვალი მაინცდამაინც ჩვენს მოედანს დაადგა — იქ თამბაქოს სარგავი ნაკვეთი მოაწყო.

ვის არ მივმართეთ თხოვნით, რომ დახმარების ხელი გამოეწოდათ — სხვაგან გამოეყოთ სარბიელი, მაგრამ ყველას დაპირება დაპირებად დარჩა.

ძვირფასო რედაქციავ, იქნებ თქვენ გვიშველოთ რამე.

ნ. კახიძე,
რ. ბერიძე,
ნ. ბელაძე.

სოფ. ტაბახმელა,
ხულოს რაიონი.

## სამთო ველომარათონი

მთიანი რესპუბლიკის გზებზე გამართული მრავალდღიანი ველორბოლა ყირგიზეთის სსრ 50 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებამ რამდენიმე რესპუბლიკის სპორტსმენებს მოუყარა თავი. მათ 1300 კმ დაფარეს ყირგიზეთის დედაქალაქიდან პრჟევალსკამდე და უკან.

გაიმარჯვა ყაზახეთის მანქანაგამომცდელი სადგურის ინჟინერ-მექანიკოსმა ს. გუცალიუკმა — 26:04.35. მას 19 წამით ჩამორჩა ყირგიზეთის წარმომადგენელი ხ. კალეევი. III ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ჭაბუკთა ორგზის ჩემპიონი პ. იკონიკოვი (ყაზახეთი), რომელიც IX ეტაპამდე ინარჩუნებდა ლიდერობას.

ფრუნზე.

## თბილისელი პარაშუტისტი — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი

ტულა. ადგილობრივ პარაშუტოდრომზე დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი საპარაშუტო სპორტში. თავიანთი საიუბილეო, რიგით მე-20 პირველობამდე საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს უნგრეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება თბილისელმა ნ. უშმაევმა მოიპოვა.

* * *



სურათზე: ნ. უშმაევი.

პ. მასლოვის ფოტო (საკდეს-ი).

# საქართველოს სტუმარი

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კოსიგინი ჩვენს რესპუბლიკაში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. კოსიგინმა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ისვენებს, იმოგზაურა საქართველოში, გაეცნო მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. საბჭოთა მთავრობის მეთაური დაინტერესდა თუ როგორ ვითარდება ჩვენი ეკონომიკა, კულტურა, საკურორტო მშენებლობა...

ა. კოსიგინმა დაათვალიერა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, ესტუმრა ქუთაისს, წყალტუბოს, ბორჯომს, ბაკურიანს. აქ მან ინტერესით დაათვალიერა სპორტული ნაგებობანი. ა. კოსიგინმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ეს დიდებული სამთო კურორტი სპორტის ზამთრის სახეობათა მასობრივი განვითარებისთვის, მშრომელთა დასვენებისთვის. საკურორტო ადგილების დათვალიერებისას ა. კოსიგინი ესაუბრა დამსვენებლებს, შეაქო ის სერიოზული მუშაობა, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს ჯანმრთელობის კერებში მშრომელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

საქართველოს მშრომელები ა. კოსიგინს ყველგან მხურვალედ, გულთბილად ხვდებოდნენ, რითაც გამოხატავდნენ დიდ მადლიერებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, მისი ცენტრალური კომიტეტისადმი, პოლიტბიუროსადმი დიდი ზრუნვისა და ყურადღებისთვის. ეს მზრუნველობა მკაფიოდ გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოში მოგზაურობის დროს ა. კოსიგინს ახლდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეჟიმის დაცვა ჯანმრთელობის საწინდარია

საბჭოთა სკოლა მოწოდებულია არა მარტო განათლება მისცეს ბავშვებს, არამედ ხელი შეუწყოს მათს ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას და ჯანმრთელობის განმტკიცებასაც. ამ დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანას სკოლა ოჯახთან ერთად წყვეტს. მოსწავლეებში საკუთარი ჯანმრთელობისადმი შეგნებული დამოკიდებულებისა და ცხოვრების სწორი ორგანიზების უნარის გამომუშავება იოლი ამოცანა არ არის. ამ საქმეში წარმატების საწინდარია დღის რეჟიმის მკაცრად დაცვა, როცა წარმოიქმნება დროის თანმიმდევრული პირობითი რეფლექსები. ერთსა და იმავე დროს დაწოლა და ადგომა ხელს უწყობს სწრაფად დაძინებას და გაღვიძებას. ერთსა და იმავე დროს ჭამა იწვევს მადის შეგრძნებას და საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფას ერთსა და იმავე საათებში, რაც ამაღლებს მიღებული საკვების ათვისების დონეს. სუფთა ჰაერზე რეგულარულად სეირნობით გამომუშავდება ერთსა და იმავე დროს სეირნობის ჩვევა, რაც საუცხოოდ მოქმედებს განწყობილებაზე. თუ ოჯახში ზუსტი რეჟიმია დაცული, ბავშვიც ეჩვევა მას, ეჩვევა აკურატულობას. ეს ბავშვს აჩვევს დისციპლინას და უვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე უფრთხილდება დროს, რაც, რასაკვირველია, დადებითს გავლენას ახდენს მის აკადემიურ მოსწრებაზეც.

სწავლის პროცესში ბავშვები იღლებიან, რაც ბევრადაა დამოკიდებული მათს ასაკზე. მაგალითად, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში (I-IV კლასები) დაღლილობა საგრძნობლად მატულობს მესამე-მეოთხე გაკვეთილისთვის, ხოლო საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებში — მხოლოდ მეხუთე-მეექვსე გაკვეთილისთვის.

ყველაზე მაღალი შრომისუნარიანობა მოსწავლეებს აქვთ მეორე და მესამე გაკვეთილებზე. აი, რატომაა საჭირო, რომ რთული საგნებისთვის (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია) გამოვყოთ სწორედ ეს და არა ბოლო გაკვეთილები.

ინტერვალი სკოლის გაკვეთილებსა და საშინაო დავალების მომზადებას შორის უმცროსი ასაკის მოსწავლეებისთვის უნდა იყოს, სულ ცოტა, საში საათი- სამ საათ-ნახევარი, ხოლო საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისთვის — ორი საათი ან ორ საათ-ნახევარი. ეს საათები უნდა დაეთმოს აქტიურ დასვენებას, სეირნობას და თამაშს სუფთა ჰაერზე, ბაღში ან ბოსტანში მუშაობას ზომიერი ფიზიკური დატვირთვით. უმცროსი სასკოლო ასაკისა და სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებისთვის ამ დროს აუცილებელია პასიური დასვენებაც — ძილი ერთ საათს ან საათ-ნახევარს. უმაღლესი ნერვული მუშაობის თავისებურებათა წყალობით ძილი აქტიურ დასვენებაზე სწრაფად აღუდგენს მათ შრომისუნარიანობას.

პირველ ცვლაში მომეცადინეებმა გაკვეთილების მომზადება უნდა დაიწყონ 16 საათიდან, ხოლო მეორე ცვლაში მომეცადინეებმა — დილის ცხრის ნახევრიდან ან ცხრა საათიდან. I კლასის მოსწავლეებმა გაკვეთილის მომზადებას უნდა მოანდომონ არა უმეტეს ერთი საათისა, II კლასის ბავშვებმა — საათ-ნახევრისა. III და IV კლასებში გაკვეთილების მომზადებას უნდა დაეთმოს არა უმეტეს ორი საათისა, V-VI კლასებში — ორ საათ-ნახევრისა, VIII-X კლასებში — სამი საათისა.

ამ ხნის მანძილზე ბავშვები ყურადღებით მეცადინეობენ, მაღალ შრომისუნარიანობას ინარჩუნებენ. როცა გაკვეთილების მომზადებას აღნიშნულზე მეტი დრო ხმარდება, ჩვეულებრივ, დუნდება ყურადღებაც და მეხსიერებაც, იწყება მოუსვენრობა, მთქნარება, ზოგჯერ კი — მხედველობის დაქვეითებაც.

ბავშვები, რომლებსაც გადატანილი აქვთ გრიპი, ანგინა, ზედა სასუნთქი გზების კატარი, ჩვეულებრივ ნაკლებ შრომისუნარიანობას ავლენენ სკოლაში დაბრუნებიდან 6-9 დღის განმავლობაში.

თუ ბავშვს რაიმე ქრონიკული დაავადება აწუხებს (მაგალითად, რევმატიზმი, ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია და სხვ.), შრომისუნარიანობა დაქვეითებულია მთელი წლის განმავლობაში. ამიტომ გაკვეთილების მომზადების დროს იმ ბავშვებმა, რომლებსაც ჯანმრთელობა დასუსტებული აქვთ, აგრეთვე, I კლასის მოსწავლეებმა, 10-10 წუთს უნდა დაისვენონ 30-35 წუთს მეცადინეობის შემდეგ, ხოლო ჯანმრთელებმა — 45 წუთის შემდეგ.

გაკვეთილების მომზადება უნდა დაიწყოს მუდამ ერთსა და იმავე საათებში, სიჩუმეში. სჯობს ჯერ მომზადდეს წერითი დავალებები, შემდეგ — ზეპირი. ამასთან, უფრო რაციონალურია მეცადინეობის დაწყება საშუალო სირთულის საგნებიდან. შემდეგ ბავშვი თანდათან უნდა გადავიდეს უფრო რთულ საგნებზე.

შრომისუნარიანობა ორშაბათობითა და შაბათობით უფრო დაბალია, ვიდრე ოთხშაბათობითა და ხუთშაბათობით. შაბათი სამუშაო კვირის ბოლოა, როცა ბავშვი უკვე დაღლილია, ხოლო ორშაბათს ორგანიზმი ჯერ კიდევ არ არის ჩართული მუშაობაში ხანგრძლივი შუალედის — დასვენების დღის შემდეგ. ამიტომ საშინაო დავალებათა მოცულობა ორშაბათიდან ხუთშაბათამდე თანაბარზომიერად უნდა იზრდებოდეს, ხოლო ხუთშაბათიდან თანდათან მცირდებოდეს. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ მშობლებმა ბავშვების მიერ საშინაო დავალებათა და სხვა დამატებითი სამუშაოების შესრულების დროს. საშინაო დავალებათა შესრულების ხარისხზე გავლენას ახდენს გარემო პირობები. ბავშვს ყურადღებას უფანტავს გარეშე ხმაური — ხმამაღალი ლაპარაკი, რადიო, ტელევიზია.

ოთახი, სადაც მოსწავლე მეცადინეობს, კარგად განიავებული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი სწრაფად იღლება. ხანდახან იწყება თავბრუს ხვევა და თავის ტკივილი. რამდენადაც წერა და კითხვა დაკავშირებულია მნიშვნელოვან დაძაბულობასთან, ცუდი განათება დამღუპველად მოქმედებს ბავშვების მხედველობაზე, რამაც შეიძლება ახლომხედველობაც გამოიწვიოს. ამიტომ ბავშვის მაგიდა მეცადინეობის დროს ფანჯარასთან ან მის ახლოს უნდა იდგეს, რომ შუქი მარცხნიდან ეცემოდეს. ამ შემთხვევაში მარჯვენა ხელი წერის დროს სინათლეს არ დაფარავს. თუ ოთახში ხელოვნური განათებაა, ნათურა მარცხნიდან უნდა იდგეს, ისე, რომ სხივები ბავშვს პირდაპირ თვალებში არ ხვდებოდეს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წერის დროს სწორი პოზის არჩევა. სწორი პოზაა სხეულის ისეთი მდგომარეობა, როცა მოსწავლე სწორად ზის, მკერდით მაგიდის კიდეს არ ეყრდნობა. ბავშვს თავი ოდნავ დახრილი უნდა ჰქონდეს მაგიდისკენ, ხოლო თვალები — რვეულს დაცილებული 25-30 სმ-ით. როცა ბავშვი სწორად ზის, ფეხები მოხრილი უნდა ჰქონდეს მუხლის სახსრებში სწორი ან ბლაგვი კუთხით, ტერფები ეყრდნობოდეს იატაკს ან სადგარს. ასე ჯდომა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მაგიდისა და სკამის სიმაღლე სხეულის ზომებს შეესაბამება.

გაკვეთილების მომზადების შემდეგ ბავშვს დაძინებამდე რჩება დრო, რომელიც რაციონალურად უნდა გამოიყენოს სუფთა ჰაერზე სეირნობისთვის, სპორტისთვის. სუფთა ჰაერი აკაჟებს ჯანმრთელობას, ამაღლებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს სხვადასხვა დაავადების მიმართ.

ჯანმრთელი ბავშვის აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ორგანიზმის გაკაჟება, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება თერმოსარეგულაციო მექანიზმების სრულყოფა, კუნთების ტონუსის ამაღლება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ამტანობის გამომუშავება.

ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის ზრუნვის დაწყება სჯობს ჰაერის აბაზანებით წლის თბილ პერიოდში (ზაფხულში), როცა ბავშვები დიდ დროს ატარებენ ჰაერზე.

სხეულის გაკაჟებას იწყებენ 32-34-გრადუსიანი წყლით ტანის დაზელით. წყლის ტემპერატურა თანდათან კლებულობს და 16-18 გრადუსამდე დადის. როცა ბავშვები ტანის დაზელას შეეჩვევიან, ეს ხერხი შეიძლება შეიცვალოს 30-გრადუსიანი შხაპით. წყლის ტემპერატურა თანდათან 19-20 გრადუსამდე უნდა დაეცეს.

სხეულს ძალიან აკაჟებს ცურვაც. თავიდან ბანაობენ დღეში ერთხელ არა უმეტეს 2-4 წუთისა. წყლის ტემპერატურა 20 გრადუსი მაინც უნდა იყოს. უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ცურვის ხანგრძლივობა აქტიური მოძრაობის პირობებში (ცურვა, ბურთის თამაში და სხვ.) უნდა შეადგენდეს 8-10 წუთს, უფროსი ასაკის ბავშვებისთვის — 15 წუთს.

ბანაობის წინ აუცილებელია ბავშვი 10-15 წუთს მშვიდად იჯდეს ჩრდილში, რათა წყალში გახურებული და ოფლიანი არ შევიდეს. ფიზიკური აღზრდა უდიდეს გამაჯანსაღებელ გავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობაზე, კარგად მოქმედებს მის ზრდასა და განვითარებაზე. სკოლაში ამ მიზანს ემსახურება ფიზიკური კულტურის გაკვეთილები, ლაშქრობები და ექსკურსიები, სპორტულ სექციებში მეცადინეობა. სექციებში ფიგურულ ციგურაობასა და ცურვაში წვრთნა და მეცადინეობა ნებადართულია 7-8 წლიდან, ჩოგბურთსა და აკრობატიკაში — 8-9 წლიდან, მხატვრულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობასა და სათხილამურო სპორტში — 10-11 წლიდან, ფრენბურთსა და კალათბურთში — 11-12 წლიდან, ფეხბურთში, ხელბურთსა და ჰოკეიში — 12-13 წლიდან, ველოსპორტში, კრივსა და ჭიდაობაში — 14-15 წლიდან.

მოსწავლის დღის რეჟიმში განსაზღვრული დრო უნდა დაეთმოს პირადი ჰიგიენის წესების დაცვას და ოჯახურ საქმეში დახმარებას.

საჭიროა ყურადღება მიექცეს პრობლემას: ტელევიზორი — მოსწავლე. როგორც საექიმო გამოკვლევებმა გვიჩვენა, ტელეგადაცემათა ყურება უშუალოდ გაკვეთილების დამთავრებისთანავე მკვეთრ დაღლილობას იწვევს. მათ ტელევიზორთან დაჯდომის უფლება მხოლოდ გასეირნების შემდეგ უნდა მივცეთ. უმცროსი ასაკის მოსწავლეებმა ტელეგადაცემებს უნდა უყურონ არა უმეტეს ერთი საათისა, ხოლო უფროსი ასაკის ბავშვებმა — შედარებით მეტ ხანს.

თუ გვინდა ბავშვს თვალები არ დაელალოს, უნდა მივაღწიოთ, რომ იგი იჯდეს ეკრანიდან არანაკლებ 2 და არა უმეტეს 5 მეტრით შორს. ოთახი სუსტად უნდა იყოს განათებული მაგიდის ლამპით ან ტორშერით, რომელიც უნდა იდგეს ან ტელევიზორის, ან მაყურებლის უკან.

დღის რეჟიმის მკაცრად დაცვა, სწორი კვება და კარგი ძილი, სამუშაო ადგილის კარგად შერჩევა, რაციონალური დასვენება, ორგანიზმის გაკაჟება, ფიზკულტურული ვარჯიში ხელს უწყობს ბავშვის ნაყოფიერ მეცადინეობას და ჯანმრთელობის გაკაჟებას.

**ლ. ცაგარელი,**
**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**



# ვახტანგ ქარსელაძის III მემორიალი

ჩვენი საჭადრაკო საზოგადოებრიობა მუდამ მადლიერების გრძნობით იხსენებს ღვაწლმოსილ აღმზრდელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვახტანგ ქარსელაძეს. ამაგდარმა მწვრთნელმა თავისი ნიჭი, ფიქრები და მამულიშვილის გულისძგერა ქართველი მოჭადრაკეების გამოზრდასა და დიდ სარბიელზე მათს გაყვანას შეალია. დღეს რომ ვხარობთ ჩვენი სახელგანთქმული ოსტატების წარმატებებით საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათში ვ. ქარსელაძის წვლილიც არის. კაცური კაცის ხსოვნას ეძღვნება მისი მემორიალი— ოსტატ ვაჟთა საკავშირო ტურნირი.

პირველი მემორიალი 1968 წელს გაიმართა გორში. მან ბევრი ცნობილი მოჭადრაკე მიიზიდა, მათ შორის დიდოსტატები მ. ტალი და ე. გელერი. რა თქმა უნდა, ვ. ქარსელაძის ნამოწაფარნიც ჩაებნენ ბრძოლაში. შეჯიბრება დაამშვენა მსოფლიო ჩემპიონი ქალის ნ. გაფრინდაშვილის მონაწილეობამ. მემორიალის პირველი ლაურეატი, როგორც მოსალოდნელი იყო, ტალი გახდა.

სტუმართმოყვარე გორმა 1971 წელსაც უმასპინძლა ქარსელაძის მემორიალს. პაექრობამ, რომელშიც დიდოსტატები ს. ფურმანი, ლ. შტეინი, ვ. სავონი, ე. გუფელდი, ი. პლატონოვი და ცნობილი ოსტატები მონაწილეობდნენ, ფიცხელ ბრძოლაში განვლო. I ადგილი დიდოსტატმა გუფელდმა დაისაკუთრა.

და აი, დღეს სოხუმში საზეიმოდ გაიხსნება ღვაწლმოსილი მწვრთნელის ხსოვნისადმი მიძღვნილი მესამე ტურნირი. საჭადრაკო დაფებს მიუსხდებიან ოსტატები ბ. კატალიმოვი, მ. მუხინი (ორივე — ალმა-ათა), მ. ცეიტლინი, ს. როზენბერგი (ორივე — მოსკოვი), ე. ბუხმანი (ლენინგრადი), ა. ვოორემაა (ტალინი), ი. ნიკოლაევსკი (კიევი), დ. ჯანოევი, ა. ბოკუჩავა (ორივე — თბილისი), ა. ტუზოვსკი (სოხუმი), ჯ. ბერაძე (წყალტუბო), ოსტატობის კანდიდატები ზ. მიქაძე, გ. ზაიჩიკი (ორივე — თბილისი) და სხვ.

შეჯიბრებაში ოსტატობის კანდიდატებს ოსტატის წოდების მოპოვება შეუძლიათ. ამისთვის საჭიროა პირველ სამეულში მოხვედრა.

როცა მემორიალის შემადგენლობას ეცნობი, ძალაუნებურად იბადება კითხვა: რატომ არ მონაწილეობენ მასში საქართველოს ცნობილი მოჭადრაკეები? პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ზოგის უარს გამართლება არა აქვს. თითოეული ტურნირი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ჭადრაკის ფედერაციამ კი ვერ უზრუნველყვეს მემორიალში დიდოსტატებისა და უძლიერესი ოსტატების მონაწილეობა.

დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ მხოლოდ გუშინწინ დაამთავრა მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში, დიდოსტატმა ე. გუფელდმა ავსტრიაში გამგზავრება ამჯობინა. საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი დიდოსტატ ვ. კორჩნოის ეხმარება ა. კარპოვთან პრეტენდენტთა ფინალური მატჩისთვის მზადებაში. საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი ე. უბილავა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში მისაღები გამოცდებითაა დაკავებული. რატომღაც ოსტატ თ. გიორგაძესაც არ სცალია.

**თ. ნინოშვილი.**

## რეკორდები

**კონკორდი** (კალიფორნიის შტატი), 2 სექტემბერი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრები გუნდების აქ გამართულ მატჩში კიდევ 4 მსოფლიო რეკორდი დამყარდა. მათგან სამი რეკორდი გერმანელ სპორტსმენებს ეკუთვნით: ულრიკე რიხტერმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში 1.02,98 აჩვენა, როზემარი კოტერმა ამას წინათ ევროპის ჩემპიონატში (ვენა) ბატერფლაის სტილით დამყარებული თავისივე რეკორდი გააუმჯობესა — 1.01,88, ხოლო რენატე ფოგელმა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი—1.12,28.

მეოთხე მსოფლიო რეკორდი მასპინძელ ჯონ ჰენკენს ეკუთვნის: 200 მ ბრასით — 2.18,21.

ამ მატჩში სულ შვიდი მსოფლიო რეკორდი განახლდა, საინტერესო ბრძოლა კი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 198:145.

# ახალი საჭადრაკო კლუბი

ბორჯომელმა მოჭადრაკეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — ამას წინათ პარკში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი.

კლუბის საზეიმო გახსნას დაესწრნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე, სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის წევრები — მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, საერთაშორისო ოსტატები ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა, მათი მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. კონსტანტინოპოლსკი და დიდოსტატი ა. გიპსლისი.

თავყრილობა გახსნა ბორჯომის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ გ. ლომიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ პედაგოგები მ. გოგრიჭიანი, ნ. ივლევა, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. გოქაძე, მოსწავლე ს. ტალახაძე და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ე. გერსამია.

კლუბის გახსნა — წითელი ლენტის გაჭრა შესთავაზეს ნ. გაფრინდაშვილს, რომელმაც ეს მისია სიამოვნებით შეასრულა. შემდეგ ახალ კლუბში საქვეყნოდ ცნობილმა მოჭადრაკე ქალებმა ერთდროული თამაშის სეანსები გამართეს, თითოეულმა ათ დაფაზე.

ნ. გაფრინდაშვილმა 9 პარტია მოიგო და ერთი წააგო (ბორჯომის ბავშვთა სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგესთან გ. ფილიევთან). ნ. ალექსანდრიამ 8 პარტია მოიგო და 2 ყაიმით დაამთავრა (ბორჯომის მოძრავი სამონტაჟო უბნის უფროსთან გ. ნაზაროვთან და სანატორიუმ „ლიკანის“ დამსვენებელთან დ. კიტარენკოსთან). ი. ლევიტინამ 9 შეხვედრა მოიგო და სანატორიუმ „ბორჯომის“ ფიზკულტურის მეთოდისტთან ს. დარჩიაშვილთან პარტია ყაიმით დაამთავრა.

**ა. ჭიჭინაძე,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ბორჯომი.

• • •



**სურათებზე: ბორჯომის საჭადრაკო კლუბის ხედი. ნ. გაფრინდაშვილი ხსნის საჭადრაკო კლუბს. ავტორის ფოტოები.**

ფეხბურთი

# პირველი გამარჯვება სტუმრად

მოსკოვი. „დინამოს" სტადიონი. 2 სექტემბერი.

ცსკა — „დინამო" (თბილისი) 0:1 (0:0).

ცსკა: ასტაპოვსკი, უტკინი, ბაბენკო, კაპლიჩნი, ვისოკიხი, შლაპაკი, ფედოტოვი, ლიხოშერსტნიხი, მოროზოვი, ტელინგერი (კოზლოვსკიხი), დოროფეევი.

„დინამო": გოგოშიძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი (ესებუა), მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, ნოდია.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

გაფრთხილებულია ვ. კაპლიჩნი.

დუბლიორები — 8:1.

თბილისის დინამოელთა წლევანდელი უსიამოვნებანი სწორედ ცსკასთან მარცხით დაიწყო ჩემპიონატის გახსნის დღეს, 12 აპრილს. მაშინ არმიელებმა საუცხოოდ ითამაშეს, დამაჯერებლად გაიმარჯვეს (3:1) და ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ისინი ერთ-ერთი მაღალი ადგილის პრეტენდენტები უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ ეს შთაბეჭდილება მცდარი გამოდგა. არმიელთა კარგ სტარტს მძიმე ჩავარდნა მოჰყვა და ისინი თანდათან ჩამოქვეითდნენ ცხრილის ბოლოში, იქ, სადაც თბილისის „დინამო" იყო. 2 სექტემბრისთვის ეს ორი გუნდი დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ცსკა-ს ჰქონდა 17 ქულა (XI ადგილი), თბილისის „დინამოს" — 15 ქულა (XIV ადგილი). ამდენად, ერთი რომელიმე მხარის გამარჯვება მკვეთრად ცვლიდა სატურნირო მდგომარეობას. კერძოდ, წარმატების შემთხვევაში არმიელები 4 ქულით სცილდებოდნენ თბილისელებს.

მასპინძლებმა ყველა ღონეს მიმართეს შეესრულებინათ ეს ამოცანა. მათ თავიდანვე აქტიურად დაიწყეს თამაში, მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ დინამოელთა დაცვა დიდი მონდომებით, მწყობრად და ყურადღებით თამაშობდა. თბილისელები ხშირად გადადიოდნენ კონტრიერიშზე. თავდამსხმელებს კარგად უმაგრებდა ზურგს მ. მაჩაიძე.

ტაიმს შედეგი არ მოუცია. შესვენების შემდეგ დინამოელებმა გააძლიერეს იერიშები, ცსკა-ს კარი რამდენიმეჯერ აღმოჩნდა სახიფათო სიტუაციაში და 67-ე წუთზე ანგარიშიც გაიხსნა: თავისუფალი დარტყმიდან გათამაშებული ბურთი მ. მაჩაიძემ ზუსტად გაგზავნა მიზანში.

10 წუთის შემდეგ ნოდიას მიეცა გოლის გატანის კარგი შანსი, როცა ასტაპოვსკის ხელიდან გაუვარდა ბურთი, მაგრამ მოსკოველებმა ბოლო მომენტში შეძლეს ხიფათის უვნებელყოფა.

მატჩის მიწურულს მასპინძლებმა შორიდან რამდენიმეჯერ სცადეს საპასუხო გოლის გატანა, მაგრამ გოგოშიძე ფხიზლად იყო. მას მოუხდა ფედოტოვისა და მოროზოვის მიერ დარტყმული ბურთების მოგერიება.

საბოლოოდ, თბილისის „დინამომ" შეინარჩუნა ანგარიში და უაღრესად საჭირო 2 ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში. ეს წლეულს მისი პირველი გამარჯვებაა სტუმრად.

---

2 სექტემბერს გაიმართა „მორიგი მატჩი: „ჩერნომორეცი" — „ზენიტი".

თამაში ძალიან საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. უამრავი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ (ოდესელებმა ხუთჯერ მოახვედრეს ბურთი ძელს) ანგარიში 76-ე წუთზე გახსნა ზუბკოვმა, მატჩის ბოლო წუთზე კი ლენინგრადელთა მცველმა გოლუბევმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი და ოდესელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 2:0.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია გოლუბევი.

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 4 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (როსტ.) | 27 | 16 | 6 | 5 | 65—23 | 38 |
| „კრ. სოვეტ." | 27 | 13 | 10 | 4 | 32—14 | 36 |
| „ტექსტილ". | 26 | 12 | 6 | 8 | 36—24 | 30 |
| „ლოკომოტ". | 26 | 12 | 6 | 8 | 28—21 | 30 |
| „პამირი" | 23 | 12 | 5 | 6 | 38—24 | 29 |
| „დინამო" | 26 | 11 | 7 | 8 | 35—30 | 29 |
| „ნეფთჩი" | 26 | 10 | 9 | 7 | 32—30 | 29 |
| „კუზბასი" | 26 | 10 | 7 | 9 | 34—29 | 27 |
| „ზვეზდა" | 27 | 11 | 5 | 11 | 40—40 | 27 |
| „მეტალ. (ზ.) | 25 | 10 | 7 | 8 | 33—34 | 27 |
| „მეტ." (ლ.) | 26 | 9 | 8 | 9 | 35—36 | 26 |
| „ურალმაში" | 27 | 8 | 10 | 9 | 31—34 | 26 |
| „შინიკი" | 26 | 9 | 7 | 10 | 39—43 | 25 |
| „სპარტ." (ორ.) | 27 | 8 | 9 | 10 | 25—29 | 25 |
| „ტავრია" | 26 | 8 | 8 | 10 | 26—29 | 24 |
| „სპარტ." (ი.-ფრ.) | 26 | 9 | 5 | 12 | 25—36 | 23 |
| „ყუბანი" | 27 | 8 | 5 | 14 | 29—35 | 21 |
| „სტროიტ." | 26 | 8 | 5 | 13 | 27—35 | 21 |
| „სპარტ." (ნ.) | 26 | 3 | 11 | 12 | 22—48 | 17 |
| „ტორპედო" | 26 | 3 | 5 | 18 | 22—60 | 11 |

## ბათუმელები — პირველ ადგილზე

კამენსკ-შახტინსკი, 2 სექტემბერი. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების აქ მიმდინარე ნახევარფინალური ტურნირი.

IV ტურში ბათუმის „დინამომ" საუკეთესოდ ითამაშა მინსკის გუნდთან და დიდი ანგარიშით დაამარცხა იგი — 5:0. იმ დღეს ლვოველებმა ანგარიშით 2:0 სძლიეს ვილნიუსის გუნდს, ხოლო როსტოველებმა — ბაქოელებს — 1:0.

ბოლო ტურში ბათუმელებს გადამწყვეტი შეხვედრა ჰქონდათ ბაქოს გუნდთან. დინამოელებმა კვლავ წარმატებით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი დოლიძემ გაიტანა.

ლვოველებმა დაამარცხეს როსტოველები (2:0), ხოლო ვილნიუსელებმა — მინსკის გუნდი (2:1).

ტურნირი დამთავრდა ბათუმის „დინამოს" (მწვრთნელი ლ. ვერულიძე) შესანიშნავი გამარჯვებით, რომელმაც I ადგილი დაიკავა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ბათუმელებმა მიიღეს სპეციალური პრიზებიც: კოლექტივი ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა გათამაშებაში, საუკეთესო მეკარედ მიჩნეულ იქნა ი. მამინაშვილი, ხოლო საუკეთესო ნახევარმცველად — ვ. დოლიძე.

## II ლიგა III ზონა

2 სექტემბერს გამართული მორიგი ტურის მატჩების შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „კოლხეთი" (ფოთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 4:0

ამ დღეს ფოთში გადაუღებლად წვიმდა, სათამაშო მინდორი ძალიან დამძიმდა. ასეთ პირობებში „კოლხეთმა" დიდი მონდომება გამოიჩინა, ითამაშა კოლექტიურად, ენერგიულად და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია.

უკვე მე-15 წუთზე „მერცხლის" მცველმა ნემსაძემ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა სანაიას მიერ დარტყმული ბურთი, ათიოდე წუთის შემდეგ კი ბურჭულაძემ, არზიანმა და როხვაძემ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 1:0.

35-ე წუთზე მახარაძელთა ერთი მცველი თავის საჯარიმო მოედანზე ხელით შეეხო ბურთს, რისთვისაც დაინიშნა 11-მეტრიანი. იგი კარგად გამოიყენა მადანმა, ტაიმის დასასრულს კი სანაიამ მესამედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

მეორე ტაიმში „კოლხეთს" არ შეუნელებია იერიშები და სანაიამ არზიანის გადაცემის შემდეგ კიდევ ერთხელ აიღო სტუმართა კარი.

ზ. ბასილაია.

### „დინამო" (ზუგდიდი) — „დილა" (გორი) 1:1

სტუმრად წარუმატებლად ჩატარებული მატჩების შემდეგ ზუგდიდელთა მდგომარეობა კვლავ გართულდა. გუნდი ისევ დადგა ქულათა მარაგის შევსების აუცილებლობის წინაშე, მისი მეტოქე კი იყო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — გორის „დილა".

მასპინძლებმა აგრესიულად დაიწყეს თამაში, მე-5 წუთზე ერთობ სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ კემულარიამ ვერ შეძლო მისი გამოყენება. დინამოელებმა მაინც მიაღწიეს წარმატებას: მე-20 წუთზე ნიკოლაიშვილმა კარგად გამოიყენა თუთბერიძის გადაცემა — 1:0.

„დილამ" მარცხს კონტრშეტევებით უპასუხა. 31-ე წუთზე მასპინძელთა მეკარე წყაროზიამ მოიგერია ბუხალაძის ძლიერი დარტყმა, ბურთს მიუსწრო ბურჯანაძემ და ბადეში გაგზავნა იგი — 1:1.

შესვენების შემდეგ მასპინძლები ბევრს ეცადნენ მიეღწიათ ახალი წარმატებისთვის, გორელთა დაცვას და მეკარე ბერიძეს მძიმე დატვირთვა დააწვათ, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

ბ. ალშიბაია.

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „დინამო" (ბათუმი) 0:0, „დინამო" (კიროვაბადი) — „დინამო" (ბრიანსკი) 4:1, „ფოლადი" (სუმგაითი) — „ისკრა" (სმოლენსკი) 0:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:3, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ურალანი" (ელისტა) 3:1, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „ტორპედო" (ვლადიმირი) 0:2.




Sport

SPORTSKE NOVOSTI

Népsport

Народен Спорт

### კოვაჩის მეთოდით

საფრანგეთის ნაკრები ამთავრებს მზადებას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ყოველი ოფიციალური მატჩის წინ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი, რუმინელი სპეციალისტი ს. კოვაჩი გეგმავს შეხვედრას რომელიმე ძლიერ საკლუბო გუნდთან.

25 ათასი მაყურებელი დაესწრო პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე საფრანგეთის ნაკრების მატჩს „კიოლნთან" (გფრ). შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

### ახალი მწვრთნელი — მლადინიჩი

იუგოსლავიის ნაკრების ახალ მწვრთნელად ესპანეთში წასული მილიანიჩის ნაცვლად დაინიშნა ა. მლადინიჩი. იგი აქამდე იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იყო. მლადინიჩმა განაცხადა, რომ მისი უპირველესი ამოცანა იქნება ნაკრების შემადგენლობის გაახალგაზრდავება. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პირველ ყოვლისა მლადინიჩი ნაკრებს დაატოვებინებს კარასის, პაჯიაბდიჩსა და პავლოვიჩს.

### ვალკარეჯის ახალი თანამდებობა

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ფ. ვალკარეჯის ახალი მოვალეობა დააკისრა: ამიერიდან იგი დაესწრება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში იტალიელების მეტოქეთა ყველა მატჩს და შემდეგ დაწვრილებით ანგარიშს წარუდგენს „სკუადრა აძურას" ხელმძღვანელობას.

როგორც ბელგრადის „სპორტი" შენიშნავს, ბევრს მოგზაურობს იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელი ფ. ბერნარდინი, რომელიც ახლოს ეცნობა პირველი ლიგის ყველა გუნდს. ბერნარდინის მიაჩნია, რომ ნაკრები ფაქტიურად ახლიდან უნდა ჩამოყალიბდეს.

### პოსტი დაატოვებინეს

რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდა, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლეს ბრაზილიის სპორტული კონფედერაციის ფეხბურთის განყოფილების უფროსი დო პასო, რომელსაც ევალებოდა ნაკრების საერთო ხელმძღვანელობა მსოფლიო ჩემპიონატის დროს.

დო პასოს ნაცვლად ამ თანამდებობაზე დანიშნულმა ბონეტიმ განაცხადა, რომ ფეხბურთის მდგომარეობა ბრაზილიაში აშკარად არასასურველ დონეზეა და საჭიროა გარკვეული რეფორმები.

### ბრემნერიც და კიგანიც

ინგლისში სეზონი სულ ახლახან დაიწყო, მაგრამ ეროვნულ ფედერაციას უკვე მოუხდა მკაცრი სანქციების მიღება: 3-3 თამაშით არიან დისკვალიფიცირებული შოტლანდიის ნაკრების კაპიტანი ბრემნერი („ლიდს იუნაიტედი") და ინგლისის ნაკრების მოთამაშე კიგანი („ლივერპული"). მათ მინდორი დაატოვებინეს „ლიდს იუნაიტედისა" (ინგლისის ჩემპიონი) და „ლივერპულის" (ინგლისის თასის მფლობელი) ამხანაგურ საზეიმო მატჩში, რითაც ინგლისში ტრადიციულად იხსნება სეზონი.

### ახალი მსოფლიო ვარსკვლავები

დასავლეთგერმანული ჟურნალი „კიკერი" დროდადრო აქვეყნებს თავისი ქვეყნის უძლიერეს მოთამაშეთა სიას, რომლებსაც შემდეგ კატეგორიებად ჰყოფს: 1. მსოფლიო ვარსკვლავები, 2. საერთაშორისო ოსტატები, 3. ევროპული მასშტაბის ოსტატები, 4. ეროვნული კლასის მოთამაშეები.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ გამოქვეყნებულ ასეთ სიაში მხოლოდ ერთი მოთამაშე იყო ცნობილი მსოფლიო ვარსკვლავად — ბეკენბაუერი. ახლა ვითარება შეიცვალა: ამას წინათ გამოქვეყნებულ სიაში „კიკერმა" მსოფლიო ვარსკვლავთა სიაში შეიყვანა, აგრეთვე, მაიერი, ფოგტსი, ბრაიტნერი, ჰიონესი და მიულერი.

## რაგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

● ●

### ცვლილებები კალენდარში

მოსკოვი, 2 სექტემბერი. ადგილობრივმა გუნდებმა „ფილიმ" და „ავტომობილისტმა" გუშინ თავიანთ მინდვრებზე რეგბიში საკავშირო ჩემპიონატის „უგეგმო" მატჩები გამართეს. „ფილიმ" ანგარიშით 25:3 დაამარცხა თბილისის „განთიადი", ხოლო „ავტომობილისტმა"—შარშანდელი საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორი, ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — 6:3.

სატურნირო ცხრილს კვლავინდებურად ლიდერობს სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი „ფილი" — 16 ქულა 18-დან. 12-12 ქულა აქვთ „ბურევესტნიკს" და კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს (კიეველებს ერთი თამაშით ნაკლები აქვთ).

საკავშირო ჩემპიონატში ცვლილებები საბჭოთა გუნდების უცხოეთში მომავალმა გამგზავრებამ გამოიწვია. 11 სექტემბერს მოსკოვის ნაკრები პოლონეთში მიდის საასპარეზოდ (ეს გუნდი „ავტომობილისტის" და „ლოკომოტივის" მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული), ხოლო „ფილი" ბულგარეთში ითამაშებს საერთაშორისო ტურნირში. ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი საფრანგეთში გაემგზავრება. ამიტომ 22 სექტემბრისთვის დაგეგმილი მატჩები („ფილი" — „ავტომობილისტი" და „განთიადი" — სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი) 20 ოქტომბრისთვისაა გადატანილი, ხოლო კიეველი რეგბისტები გაგარინელებს 14 სექტემბერს შეხვდებიან.

## შრომის ფერხულში

ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის № 16 ღუმელი დიდხანს ყველაზე ჩამორჩენილად ითვლებოდა მთელს საწარმოში. და აი, ვეტერანი სპორტსმენის, ამჟამად ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის ო. სამყურაშვილის თაოსნობით აქ მხოლოდ ფიზკულტურელები გაუშვეს სამუშაოდ, ბრიგადებსაც ფიზკულტურული უწოდეს. მათ სათავეში ჩაუყენეს გამოცდილი, მოწინავე ბრიგადირები ნ. მესხი, ვ. კირკიტაძე, ო. ქათამაძე, გ. გუმბერიძე.

შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: სპორტსმენებმა ყველა საამქროს ღუმელებს გაუსწრეს, კვარტალურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

აი, ისინიც, ვინც № 16 ღუმელს თავდადებული შრომით სახელი გაუთქვეს: სპორტის ოსტატი ო. მემანიშვილი, თანრიგოსნები ნ. დეკანოსიძე, ა. შავგულიძე, გ. ბარბაქაძე, შ. კუტალაძე, ს. გაჩეჩილაძე.

ა. ვანუგრაავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

# საჩუქარი დაბადების დღისთვის

რომი, 2 სექტემბერი. მახლობელი მთებიდან მონაბერი ცივი ქარი რომის ქუჩებში ფენს დამჭკნარ, ყვითელ ფოთლებს — იტალიის დედაქალაქში შემოდგომა დგება. როგორც გაზეთები წინასწარმეტყველებენ, ასევე „იფრენ" რეკორდები კონტინენტის მძლეოსანთა XI ჩემპიონატზე.

ახდება თუ არა ეს წინასწარმეტყველება, ამას ბრძოლის დღეები გვიჩვენებს, მაგრამ უკვე ახლა ზოგიერთი გუნდის გამარჯვების იმედებს ფრთები ეკვეცება. მაგალითად, ბელგიელები რომში თავიანთი ლიდერის — 5 კილომეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენის ე. პუტემანსის გარეშე ჩამოვიდნენ. ემილი სწორედ გამგზავრების წინადღით გახდა ავად. ინგლისელი რ. ჯენკინსი „შარიანმა" სამანდატო კომისიამ არ დაუშვა. თურმე ამ ახალგაზრდა მძლეოსანს 400 მეტრზე რბენის საკვალიფიკაციო ნორმატივი ძალიან გვიან შეუსრულებია — შეჯიბრების დაწყებამდე ოთხი დღით ადრე.

საბჭოთა მძლეოსნები ევროპის ჩემპიონატში მეცხრედ მონაწილეობენ. წინა პირველობებში მათ 76 ოქროს მედალი მოიხვეჭეს. ამ პირველობაზე საბჭოთა გუნდის მონაწილეთა შორის არის ევროპის 1971 წლის პირველობის ექვსი ჩემპიონი: ნ. ჩიჟოვა, ფ. მელნიკი, ვ. ბორზოვი, ი. ლუსისი, ბ. სოლდატენკო, გ. შაპკა.

და აი, 2 სექტემბერს „სტადიო ოლიმპიკოს" სარბიელზე შეჯიბრებამ სტარტი აიღო.

პირველი ოქროს მედალი საბჭოთა გუნდს მოუტანა ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა და კონტინენტის ორ წინა ჩემპიონატში გამარჯვებულმა ნ. ჩიჟოვამ. „ოქროსი" აღმოჩნდა მესამე ცდა, როცა ლენინგრადელმა მძლეოსანმა ბირთვი 20,78 მეტრზე ჰკრა. 40-50 წუთის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ ამ შედეგის გაუმჯობესებას. ჩიჟოვამ კარგი საჩუქარი მოუმზადა თავის თავს (იგი 27 სექტემბერსაა დაბადებული).

ვერცხლის მედალი მოიხვეჭა ყველაზე მაღალმა (182 სმ) და ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ მ. ადამმა (გდრ) — 20,43 მ. ბრინჯაო წილად ხვდა ჩეხოსლოვაკიელ ჰ. ფიბინგეროვას — 20,33 მ.

მხოლოდ ვერცხლის მედალი მოიპოვა 3 კილომეტრზე რბენაში კრასნოდარელმა მასწავლებელმა ლ. ბრაგინამ. „მხოლოდ" იმიტომ დავწერეთ, რომ ბრაგინა ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის მფლობელია. გაიმარჯვა ფინელმა ნ. ჰოლმენმა — 8.55,2.

დღეს უკანასკნელი ოქროს მედალი დაისაკუთრა გდრ-ის მორბენალმა მ. კუშმანმა. მან 10 კილომეტრზე რბენაში ბოლო წრეზე ისეთი სპრინტერული სისწრაფე განავითარა, რომ დანარჩენი მეტოქეები სახტად დარჩნენ. მისი შედეგი არც თუ მაღალია, მაგრამ გამარჯვებისთვის სავსებით საკმარისი გამოდგა — 28.25,8.

ბ. ბუხოვცევი,
ლ. პოლუნინი.
(საკდესის სპეც. კორ.).

მძლეოსნობა



მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მძლეოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — ძმები ზნამენსკების მემორიალი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, ამერიკის შეერთებული შტატების, კუბის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

სურათზე: 3000 მეტრზე ფინალური გარბენი. გაიმარჯვა ანდიჟანელმა სპორტის ოსტატმა ს. ულმასოვამ (მარჯვნივ) — 9.35,2.

ს. ზალეტოვის ფოტო (საკდესი).

19 45

◆ ბუდაპეშტი, 8 სექტემბერი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მინსკელმა მოფარიკავე ე. ბელოვამ ყველას აჯობა საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში, რომელსაც „ბალატონი" ჰქვია.

## როცა სროლის ხმა მიწყდა

მოსკოვი, 2 სექტემბერი. თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა შეჯიბრების მესამე სახეობის — სროლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში მასპინძლები, საბჭოთა სპორტსმენები ლიდერობენ: ნაკრებს 8876 ქულა აქვს, ხოლო პ. ლედნიოვს — 3067. გუნდურ ჩათვლაში მომდევნო ადგილებზე არიან უნგრელები (8406) და რუმინელები (8148), ხოლო პირადში — კიეველი ბ. ონიშჩენკო (2975) და ამერიკელი ჯ. ფიცჯერალდი (2886). მესამე საბჭოთა ხუთჭიდელი ვ. შმელიოვი ჯერჯერობით X ადგილზეა (2834).

დღეს ხუთი ლორსების რაინდებმა პირველად დატოვეს ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი და მიტიშჩში „დინამოს" სასროლეთზე გადაინაცვლეს.

ხუთჭიდის პროგრამით სროლა ძალიან საინტერესო შეჯიბრებაა. იგი სილუეტებზე წარმოებს, რომლებიც სპორტსმენის წინ სულ 3 წამს ჩნდებიან. შემდეგ მოკლე პაუზა და კვლავ გამოჩნდება სილუეტი... და ასე 20-ჯერ.

ამ სწრაფსროლაში ყველას აჯობა ბულგარელმა ნ. ნიკოლოვმა. მან 196 ქულა დააგროვა და ამისთვის, ხუთჭიდელთა ცხრილით, 1044 ქულა დაიმსახურა.

ასეთივე შედეგი ჰქონდა გფრ-ის წარმომადგენელ გ. ვერნერს, მაგრამ უკანასკნელ სერიებში უკეთესი შედეგისთვის ბულგარელს მიეკუთვნა I ადგილი.

195 ქულა ორ სპორტსმენს ჰქონდა, ხოლო 194 — ოთხს. საბჭოთა სამეულიდან საუკეთესოს — ლედნიოვს 193 ქულა აქვს (978).

იუნიორთა შეჯიბრებაშიც ჯერჯერობით საბჭოთა სპორტსმენები დაწინაურდნენ: რ. რუსმანს 3119 ქულა აქვს, ხოლო ნაკრებს — 8926. სროლაში რუსმანი კვლავ მეორე იყო — 1000 ქულა. გაიმარჯვა ინგლისელმა პ. უოლმა — 1066 ქულა. მან უფროსებზე უკეთესად ისროლა. (საკდესი).

• • •

სურათზე: ჩემპიონატის მესამე სახეობა — ფარიკაობა. პირველობის ლიდერი პ. ლედნიოვი (მარცხნივ) უნგრელ ტ. მარაჩკოსთან ბრძოლისას.

ვ. ვოლკოვის ფოტო.
(„ტრუდი").



მეგობრული შარჟი



მსოფლიო ჩემპიონი
ლ. თედიაშვილი.

სპორტის ოსტატ
ჯ. კვანტალიანის ნახატი.

# მთავარი პრიზიც და მედლებიც

## მწვრთნელის წინასწარმეტყველება გამართლდა

სტამბულში გამგზავრების წინ სსრ კავშირის სახელმწიფო მწვრთნელმა თავისუფალ ჭიდაობაში ს. პრეობრაჟენსკიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი გუნდი მიემგზავრება მტკიცე რწმენით შეინარჩუნოს მთავარი პრიზი. თასიც ჩვენი იქნება და მედლებიც — ზოგი ოქროსი, ზოგი ვერცხლისა, ზოგი კი ბრინჯაოსი. ძნელია დაეპატრონო ყველა ოქროს ერთად — ცოტა უეჭველად მეტოქეებსაც დარჩებათ".

მწვრთნელის წინასწარმეტყველება გამართლდა: 6 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით ბრუნდებიან საბჭოთა ათლეტები სამშობლოში. ჩემპიონატის მთავარი ჯილდოც — გუნდური გამარჯვებისთვის — მათი საკუთრება გახდა. სსრ კავშირის ნაკრებმა დააგროვა 52 ქულა და 22,5 (!) ქულით გაუსწრო მეორე პრიზიორს — ბულგარეთის გუნდს. III ადგილი ჩემპიონატის მასპინძლებს — თურქეთის ათლეტებს დარჩათ (25 ქულა).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ნაკრებში ჯილდო ვერ მიიღო ერთადერთმა მოჭიდავემ, ბაქოელმა მ. გაჯიევმა (62 კგ). მას V ადგილი აქვს.

სსრ კავშირის მოჭიდავეთა წარმატება არ არის მოულოდნელი, ისევე, როგორც ბულგარელთა II ადგილი. თურქებს კი ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ, როგორც ჩანს, აღმავლობის პერიოდი დაეწყოთ. მაგრამ ყველაზე დიდ ყურადღებას მონღოლეთის მოჭიდავეთა წარმატება იმსახურებს. ამ ქვეყნის ფალავნები წლიდან წლამდე აუმჯობესებენ შედეგებს და დაბეჯითებით მიიწევენ უმაღლესი კატეგორიისკენ. ერთი ჩემპიონი მათ უკვე ჰყავთ. ესაა ზ. ოიდოვი (62 კგ). კარგი შთაბეჭდილება დატოვა გამოცდილმა და ფიზიკურად ძლიერმა მ. ბაიანმუნხმაც. მას ვერცხლის მედალი ხვდა 100 კგ წონითს კატეგორიაში.

თავისუფალი ჭიდაობა

# წინაოლიმპიური „სალებავით"

ლიუცერნი, 1 სექტემბერი. შვეიცარიის ამ ქალაქში მდებარე ტბაზე მწვავე და საინტერესო ბრძოლით აღინიშნა მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა შორის. საბჭოთა სპორტსმენთაგან ყველაზე დიდ წარმატებას ლენინგრადელმა გ. ერმოლაევამ და მოსკოველმა ე. ანტონოვამ მიაღწიეს: მათმა წყვილმოსასმელიანმა ორადგილიანმა ნავმა ყველაზე სწრაფად დაფარა კილომეტრიანი მანძილი, ფინალურ სერიაში ჩამოიტოვა გფრ-ის, გდრ-ის, პოლონეთის, ჰოლანდიისა და ბულგარეთის ეკიპაჟები.

სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ექვსივე ფინალურ გაცურვაში მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ საერთო გუნდურ ჩათვლაში II ადგილით დაკმაყოფილდნენ. ზემოაღნიშნული ოქროს გარდა, მათ კიდევ 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს, მაგრამ შარშან მოსკოვში ევროპის ჩემპიონატში უკეთესი შედეგები ჰქონდათ. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ქალთა ნიჩბოსნობა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს და I მსოფლიო ჩემპიონატი, რომელმაც შვეიცარიაში 21 ქვეყნის გუნდებს მოუყარა თავი, ცხადია, წინაოლიმპიური „სალებავით" იყო შეფერილი.

ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია გდრ-ის ნაკრებმა. გერმანელმა ნიჩბოსნებმა ყველას აჯობეს ერთადგილიანებით, ოთხადგილიანებით, გასაშლელი და წყვილმოსასმელიანი „ოთხიანებით" შეჯიბრებებში. უმესაჭო ორადგილიანი ნავებით ასპარეზობაში გაიმარჯვეს რუმინეთის წარმომადგენლებმა. ამგვარად, ყველა ოქროს მედალი სოციალისტური სახელმწიფოების სპორტსმენებს ხვდათ.

ევროპის ჩემპიონი, ვილნიუსელი გ. რამოშკენე ყველაზე მსუბუქი ნავებით შეჯიბრების ფინალში 6 წამზე ცოტა მეტით ჩამორჩა სწრაფად მზარდ, 19 წლის კ. შაიბლიხს, რომელმაც წლეულს მოსკოვის რეგატაც მოიგო. ასევე II ადგილი დაიკავა საბჭოთა რვაადგილიანმა ნავმა, რომლის ეკიპაჟის უმრავლესობას ნოვგოროდელები შეადგენდნენ.

უმესაჭო ორადგილიანებით შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედლები მოიგეს რიგელებმა ი. გქიბოვსკიმ და რ. ვაინბერგმა, ხოლო ასეთივე ჯილდოს გასაშლელი „ოთხიანებით" შეჯიბრებაში ვილნიუსელები დაეპატრონენ (მენიჩბე კ. კოჟენკოვა). წყვილმოსასმელიანი ოთხადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში კიეველები V ადგილზე გავიდნენ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„განთიადის" ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას.

სკოლა უზრუნველყოფილია ზაფხულის სასწავლო-სპორტული ბანაკით, ბავშვებთან მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელები ვ. რამიშვილი, ა. კოტრიკაძე, ა. ორლოვი.

მიღება წარმოებს თბილისის საავიაციო ქარხნის სარბიელზე — „ისნის" სტადიონზე (ბ. ხმელნიცკის ქ. № 38), 7-25 სექტემბერს, 10-დან 18 საათამდე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 93-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მასწავლებლისა და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ქადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, ბუღალტერია — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.